საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS

GIP პოლიტიკის მემორანდუმი დეკემბერი 2024 / გამოცემა #78

# ნდობა, ლიდერობა, ლეგიტიმაცია - სალომე ზურაბიშვილის ფაქტორი საქართველოს გადამწყვეტი კრიზისის დროს

**ნინო სამხარაძე**[1]

საქართველოში 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ განვითარებული საზოგადოებრივი ვნებათაღელვა, დიდი ხანია, გასცდა პოლიტიკური კრიზისის მასშტაბებს და გაცილებით უფრო ფართო განზომილება შეიძინა. თითქმის ერთი თვის განმავლობაში, ქართველი ხალხი თბილისის და სხვა ქალაქების ქუჩებში უწყვეტად აპროტესტებს ქართული ოცნების ანტიდემოკრატიულ და ანტიდასავლურ მოქმედებებს, რასაც პარტია მომძლავრებული ძალადობით, რეპრესიული კანონმდებლობით და მასობრივი დემონსტრაციების მარგინალიზებით პასუხობს. თავის მხრივ, საზოგადოებრივი წინააღმდეგობის პოლიტიკური ლიდერობის ხელში აღებას ოპოზიცია ვერ ახერხებს, რადგან ისედაც სახალხო ნდობის კრიზისში მყოფმა პარტიებმა, სადავოდ ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების შემდეგ (OSCE/ODIHR 2024), საზოგადოებაში მათ მიმართ არსებული სკეპტიციზმი ვერ დაძლიეს.

ამ ფონზე, პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის მედეგობამ და დემოკრატიულმა წინააღმდეგობამ გააჩინა მნიშვნელოვანი საყრდენი წერტილი როგორც ბრძოლაში ჩართული საზოგადოებისთვის, ისე პოლიტიკური პარტიებისთვის და საერთაშორისო პარტნიორებისთვის. მართალია, ქართული ოცნების არჩეული პრეზიდენტის ინაუგურაციის შემდეგ მოქმედი პრეზიდენტის უფლებამოსილება ოფიციალურად წყდება, თუმცა

[1] ნინო სამხარაძე არის საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის პოლიტიკის ანალიტიკოსი.

საპარლამენტო საარჩევნო კოლეგიასაც და ახალ პრეზიდენტსაც ლეგიტიმაციის სერიოზული პრობლემები აქვთ, რაც კიდევ ერთხელ დაადასტურა ეუთო-ოდირის საბოლოო დასკვნამ (OSCE/ODIHR 2024). სალომე ზურაბიშვილი კი, როგორც თავად ამბობს, 29 დეკემბრის ინაუგურაციის შემდეგ არ აპირებს პრეზიდენტის ლეგიტიმური სტატუსის დატოვებას (Zurabishvili 2024a;b). თავის მხრივ, ქართულმა ოცნებამ გააკეთა რამდენიმე მინიშნება იმის შესახებ, რომ ქვეყნის მეხუთე პრეზიდენტი შეიძლება „გისოსებს მიღმა" აღმოჩნდეს (Kobakhidze 2024). ეს სრულიად არაორდინალური მოცემულობა, კრიზისიდან გამოსვლის შესაძლებლობასთან ერთად, რამდენიმე კითხვის ნიშანსაც აჩენს. ამ ეტაპზე, ცოტაა ცნობილი იმის შესახებ, თუ რა ფორმა შეიძლება მიიღოს პოსტ-საინაუგურაციო რეალობამ და რა რისკებს შეიძლება შეეჩეხოს პროდასავლური და პროდემოკრატიული პროცესი ქვეყანაში სალომე ზურაბიშვილის, როგორც ლეგიტიმური პრეზიდენტის, ლიდერობის პირობებში.

## პრეზიდენტის არჩევნების „პაროდია" პარლამენტში და „ორპრეზიდენტობის" კონტექსტი

რამდენიმეთვიანი სახალხო მღელვარების ფონზე, ქართული ოცნების შეუვალი და კონფრონტაციული რეაგირების პირობებში, სახელმწიფო არაერთი ტიპის კრიზისს უპირისპირდება: ინსტიტუტები ნდობას კარგავენ, ქვეყანა საერთაშორისო იზოლაციაში ექცევა, ადამიანის უფლებების მხრივ მდგომარეობა საგრძნობლად უარესდება. პროტესტის მუხტი კი ფართო საზოგადოებაში არ ეცემა, რაც თანდათან სამოქალაქო დაპირისპირების საფრთხეებს რეალურს ხდის. პოლიტიკური პროცესი, ერთი შეხედვით, ქართულ ოცნებას, ყველა საკონსტიტუციო პროცესის გვერდის ავლით მიჰყავს (Parliament of Georgia 2024). საპარლამენტო არჩევნებიდან ერთ თვეში პარტიის საპატიო თავმჯდომარემ, ბიძინა ივანიშვილმა პრეზიდენტობის კანდიდატად პარლამენტის წევრი და ოცნების განაყოფი ანტიდასავლური პარტიის, „ხალხის ძალის" ერთ-ერთი სახე, მიხეილ ყაველაშვილი წარადგინა. მიუხედავად იმისა, რომ ქართული ოცნების მიერ ევროინტეგრაციის მოლაპარაკებების დღის წესრიგიდან მოხსნის გასაპროტესტებლად თბილისში ყოველდღიური დემონსტრაციები მიმდინარეობს, ამჟამინდელი მმართველი პარტიით დაკომპლექტებულმა პარლამენტმა, 14 დეკემბერს ანტიდასავლური და წინააღმდეგობრივი ფიგურა პრეზიდენტად აირჩია და 29 დეკემბერს მის ინაუგურაციასაც გეგმავს.

საპარლამენტო არჩევნები უპრეცედენტო კრიტიკას იმსახურებს (OSCE/ODIHR 2024) და მისი შედეგები ჯერ კიდევ სადავოა. ამასთან, თავად მიხეილ ყაველაშვილის კანდიდატურა

საზოგადოების დიდი ნაწილის მიერ შეუსაბამოდ მიიჩნევა სახელმწიფოს მეთაურის თანამდებობისთვის. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ყაველაშვილი განიცდის როგორც კონსტიტუციური, ისე სახალხო ლეგიტიმაციის თვალშისაცემ ნაკლებობას (კუნჭულია, 2024). თუმცა, ქართული ოცნების ავტოკრატიული მიდრეკილებების გათვალისწინებით, დიდი ალბათობით, ეს საკითხი ძალაუფლებაში მყოფი პარტიისთვის მნიშვნელოვანი არ იქნება. პირიქით, არაერთი მოსაზრებით, ყაველაშვილის არჩევით, პარტია განგებ ეწევა პრეზიდენტის ინსტიტუტის საბოტაჟს, რათა ძალაუფლების კონსოლიდაციის გზაზე დამატებითი პრობლემების შექმნის რისკები დააზღვიოს.

ამ ყველაფრის ფონზე, სალომე ზურაბიშვილი, რომელიც, ბოლო წლების განმავლობაში, ზრდადი სახალხო მხარდაჭერითაც სარგებლობს და ძლიერი საერთაშორისო ავტორიტეტითაც, ჩამოყალიბდა ერთადერთ ანგარიშგასაწევ ლიდერად, რომელიც, როგორც თავადვე ამბობს, ლეგიტიმურ პრეზიდენტად რჩება მას შემდეგაც, როცა მიხეილ ყაველაშვილის ინაუგურაცია გაიმართება (პირველი არხი 2024). მოცემულობას, რომელიც შერჩეული პრეზიდენტის ინაუგურაციას მოჰყვება, ზოგჯერ მეტაფორულად „ორპრეზიდენტობას“ უწოდებენ საქართველოს ისტორიის „ორმეფობად“ წოდებულ პერიოდთან ასოცირებით (Archevani 2024). ამ უჩვეულო მოცემულობაში, ქვეყნის დემოკრატიული კონსოლიდაციისთვის მნიშვნელოვანია, სალომე ზურაბიშვილის ლეგიტიმაციის თუ სხვა ტიპის რესურსების შესაძლებლობად ქცევა და ამ შესაძლებლობების ეფექტიანად გამოყენების გზების ძიება.

## ლეგიტიმაციის კონტრასტები: რა აქცევს პრეზიდენტს რეალურ ლიდერად კრიზისულ დროს?

პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი, საზოგადოებასთან ურთიერთობის სხვადასხვა ფორმატში - ოფიციალურ განცხადებებში, პირად სოციალურ გვერდებსა და თუ მედიასთან ურთიერთობისას - მუდმივად უსვამს ხაზს, რომ ის თანამდებობის დატოვებას არ აპირებს მას შემდეგაც კი, როცა პარტიის მიერ შერჩეული პრეზიდენტ მიხეილ ყაველაშვილის ინაუგურაცია შედგება (პირველი არხი 2024; BBC 2024; Zurabichvili 2024b). *“ვხედავ - მოწოდებებს არა, მაგრამ - შეთავაზებებს, რომ მე შეიძლება გავხდე, არ ვიცი, ციხანოუსკაია ან ვენესუელელი პრეზიდენტი, რომელიც აღიარეს მას შემდეგ, რაც ქვეყანა დატოვა. …მე ეს არ მინდა. როდესაც ყველაფერი დასრულებულია, რა სარგებლობა მოაქვს ასეთ მხარდაჭერას?! მე მჭირდება მხარდაჭერა ახლა ჩემს ქვეყანაში, ჩემს მოსახლეობასთან ერთად“* (TVP World

2024). ხშირად მსგავს პათოსს სალომე ზურაბიშვილი საკუთარი პირადი ოფიციალური მედიით ეხმაურება გარკვეული ირონიითაც კი: როდესაც ათონელის საპრეზიდენტო სასახლის წინ გამოჩნდა მატარებელი წინასაახალწლო დეკორაციის სახით, მან პირად გვერდზე დაწერა - *„აბა ვინ წავა ვნახოთ“* (Zourabichvili 2024).

რა ფორმა ექნება ინსტიტუტის შენარჩუნების პროცესს, ეს ჯერ მის რიტორიკაში არ ჩანს - ფაქტობრივად შეეცდება თუ არა სახელმწიფოს ლეგიტიმური მეთაურის რანგში სხვადასხვა ფუნქციების განხორციელებას, შეიცვლება თუ არა მისი, როგორც პოლიტიკური ფიგურის რიტორიკა უკიდურესად დაძაბულ და მღელვარე პოლიტიკურ გარემოში, და ა.შ. არაერთი არგუმენტის მიხედვით, სალომე ზურაბიშვილს, მიხეილ ყაველაშვილისგან ფუნდამენტურად განასხვავებს რესურსების არსენალი, რითაც მას შეუძლია, ხანგრძლივად შეინარჩუნოს სახელმწიფოს ლეგიტიმური მეთაურის სტატუსი და ამით შექმნას ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანის საყრდენი წერტილი.

- ***<u>სახალხო ლეგიტიმაცია VS პარტიული ლეგიტიმაცია</u>***

პირველი და, მასობრივი პროტესტის ფონზე, ყველაზე მთავარი ძალა, რაც ამ ეტაპზე პოლიტიკურ ლიდერს რეალურ საზოგადოებრივ ლიდერად აქცევს, არის ფართო სახალხო მხარდაჭერა, რომელიც, სალომე ზურაბიშვილის შემთხვევაში, 2022 წლიდან შესამჩნევად იზრდებოდა (CRRC n.d.). მიუხედავად იმისა, რომ 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე სალომე ზურაბიშვილს დასჭირდა მისი მაშინდელი მხარდამჭერი პარტიის, ქართული ოცნების მიერ კამპანიაში ჩარევა მეორე ტურში გამარჯვების მოსაპოვებლად (ვარადაშვილი 2018), ბოლო სამი წლის განმავლობაში, ის იქცა იმ სახელმწიფო ლიდერად, რომელსაც აქვს ფართო საზოგადოებრივი ლეგიტიმაცია. მას შეუძლია, სხვადასხვა საკითხების გასაპროტესტებლად ქუჩაში გამოსულ საზოგადოებას მიმართოს ეკრანებიდან, ანდაც სულაც, ფიზიკურადაც შეუერთდეს პროტესტით გამსჭვალულ ხალხს და მათგან კეთილგანწყობილი დახვედრა დაიმსახუროს (პირველი არხი 2022; IPN 2024a).

კონტრასტისთვის, ქართული ოცნების მიერ შერჩეულ კანდიდატს, მიხეილ ყაველაშვილს მსგავსი სახალხო პოზიტიური განწყობა არ გააჩნია. ამ ეტაპისთვის ერთადერთი მხარდაჭერა, რის მიხედვითაც, ყაველაშვილი პრეზიდენტობის კანდიდატად დასახელდა, არის ქართული ოცნების ვიწრო ჯგუფი, უარეს სცენარში, კონკრეტულად პარტიის საპატიო თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილი, რომელმაც ის 26 ნოემბერს კანდიდატად წარადგინა (Rustavi 2 2024). ჩანს, რომ პარტიის ზედა ეშელონების მიღმა ყაველაშვილის კანდიდატობის შესახებ ოცნებაში არც

კი იცოდნენ მისი წარდგენის დღემდე (Formula 2024). სავარაუდოდ, ქართული ოცნების მიერ არჩეული პრეზიდენტი ან ნაკლებად აქტიური იქნება, ან, უარეს სცენარში, მისთვის ჩვეულ კონფრონტაციულ ტონს შეინარჩუნებს, რაც ახალი პრეზიდენტის ლეგიტიმაციის გაძლიერებას ნამდვილად ვერ შეუწყობს ხელს. ის ასევე ვერ გaერთიანებს საზოგადოებას. ეს სერიოზულ პრობლემას შეუქმნის მიხეილ ყაველაშვილს საპრეზიდენტო მოვალეობების თუნდაც ფორმალურად შესრულებისთვის.

- ***<u>საერთაშორისო სანდოობა VS საერთაშორისო იზოლაცია</u>***

ერთ-ერთი წამყვანი განზომილება, სადაც სალომე ზურაბიშვილმა, როგორც სახელმწიფოს მეთაურმა, ქართული ოცნების მიერ მიტაცებულ დანარჩენ ინსტიტუტებთან მძლავრი კონტრასტი შექმნა, არის საგარეო ურთიერთობები. ჯერ კიდევ 2022 წელს რუსეთის უკრაინაში შეჭრაზე ქართული ოცნების გაუგებარი და ხშირად კონფრონტაციული რეაგირების ფონზე, ზურაბიშვილი ახერხებდა, საერთაშორისო მედიისთვის კონსტრუქციულად აეხსნა საქართველოს გეოპოლიტიკური გარემოს მიერ განპირობებული უნიკალური სირთულეები და ქვეყნის მიმართ მეტნაკლებად კეთილგანწყობილი საერთაშორისო მიდგომები შეენარჩუნებინა (President.ge n.d.). ბოლო წლების განმავლობაში, ქართული ოცნების ხელისუფლებას დასავლელ პარტნიორებთან დაპირისპირება მოუწია შიდადემოკრატიული უკუსვლის საფუძველზეც და, საბოლოოდ, მმართველმა პარტიამ ქვეყანა საერთაშორისო იზოლაციაში მოაქცია (European Council 2024; State Department 2024). პარტიის წევრები ეტაპობრივი სანქციების ქვეშ ექცევიან, ქართული ოცნების პრემიერი ირაკლი კობახიძე ბოლო დროს, უხერხულ სიტუაციაშიც აღმოჩნდა სხვადასხვა ევროპული ქვეყნების „ოცნების სასარგებლო პოზიციის“ შესახებ გავრცელებული დეზინფორმაციის გამო (IPN 2024b).

ქართულმა ოცნებამ პრეზიდენტად დანიშნა მიხეილ ყაველაშვილი, რომელსაც არ გააჩნია სახელმწიფო მართვის გამოცდილება, სერიოზული კონტაქტები დასავლურ პოლიტიკურ წრეებში, არ ჰყავს სანდო მეგობრები და არ აქვს პირადი ავტორიტეტი საერთაშორისო არენაზე. მოცემულობას კიდევ უფრო ამწვავებს ის, რომ ყაველაშვილს, როგორც რადიკალურად ანტიდასავლური საპარლამენტო ჯგუფის, „ხალხის ძალის“ სახეს, გამოქვეყნებული აქვს არაერთი მძიმე დეზინფორმაციული განცხადება დასავლელი პარტნიორების მიმართ (Publika 2022).

ამ ფონზე, სალომე ზურაბიშვილი ახერხებს მაღალი დონის კეთილგანწყობილი შეხვედრების გამართვას დასავლელ პარტნიორებთან, და ის ინარჩუნებს ისეთ ძლიერ საერთაშორისო ტრიბუნას, როგორიცაა ევროპარლამენტის პლენარული დარბაზი, სადაც მას იღებენ, არა მხოლოდ როგორც ქვეყნის პრეზიდენტს, არამედ როგორც პროდასავლურ და პროდემოკრატიულ ხმას საქართველოდან (European Parliament 2024). მეტიც, ჰელსინკის კომისიის წევრი, რესპუბლიკელი ჯო ვილსონი ზურაბიშვილს ერთადერთ ლეგიტიმურ პრეზიდენტად მიიჩნევს (Wilson 2024), ხოლო ზურაბიშვილის პრეზიდენტობის ოფიციალური ვადის ბოლო დღეებშიც კი თვალშისაცემია დასავლური სახელმწიფოების ლიდერებთან აქტიური და კეთილგანწყობილი კომუნიკაცია (Zurabishvili 2024c). თუმცა 29 დეკემბრის შემდგომ უახლოესი პერიოდი გადამწყვეტი იქნება, თუ რა გზას აირჩევს საერთაშორისო საზოგადოება საქართველოს სახელმწიფოს სხვადასხვა ლეგიტიმურ თუ არალეგიტიმურ ლიდერებთან ურთიერთობის თვალსაზრისით.

- ***ავტორიტეტული შიდაპოლიტიკური მოთამაშე VS მაპოლარიზებელი მოთამაშე***

მიუხედავად იმისა, რომ სალომე ზურაბიშვილი, როგორც სახელმწიფოს მეთაური, ზეპარტიული ფიგურაა, წინასაარჩევნო პერიოდში მას ჰქონდა რამდენიმე მეტნაკლებად წარმატებული მცდელობა, გამხდარიყო პროევროპული პარტიული სპექტრის კონსოლიდაციის წერტილი მისი კონსტიტუციური ფუნქცია-მოვალეობების ფარგლებში. ამის პრაქტიკულ მაგალითებს შორისაა: „ეროვნული ქარტიის“ გარშემო სხვადასხვა პროევროპული ოპოზიციური პარტიის მობილიზება, როგორც თავად პრეზიდენტი აღწერდა, *„ერთობა ერთიანობის გარეშე“*, რითაც ხაზს უსვამდა, რომ მისი მთავარი ფუნქცია არა კონკრეტული პარტიების გაერთიანება, არამედ იდეური ერთობის მიღწევა იყო (რადიო თავისუფლება 2024); ასევე, ინტერპარტიული დისკუსიები პრეზიდენტის სასახლეში (Formula TV 2024), რაც ზურაბიშვილს აძლევს მნიშვნელოვან პოტენციალს, 29 დეკემბრის შემდეგ წარმატებით შეინარჩუნოს შიდაპოლიტიკური მაკონსოლიდირებელი მოთამაშის როლი. მაშინაც კი, როდესაც კონკრეტულად პროდასავლურ ოპოზიციურ პარტიებს, შესაძლოა, ერთმანეთთან ან პრეზიდენტთანაც კი კეთილგანწყობილი ურთიერთობის გამოცდილება არ ჰქონდეთ, პოსტ-საარჩევნო პერიოდში განსაკუთრებით მარგინალიზებული ოპოზიციური ფლანგისთვის სახალხო მხარდაჭერის მქონე ფიგურა, შეიძლება, მნიშვნელოვანი საყრდენი წერტილი აღმოჩნდეს მათთვის რეპრესიული სისტემის წინააღმდეგ გასაერთიანებლად.

ამ იმიჯის საპირწონედ, ახალდანიშნული პრეზიდენტი მიხეილ ყაველაშვილი უკიდურესად კონფრონტაციული, მაპოლარიზებელი მოთამაშეა საქართველოს შიდაპოლიტიკურ ველზე როგორც მისი რიტორიკის, ისე მისი პოლიტიკური შეხედულებების გათვალისწინებით. ერთი მხრივ, ყაველაშვილი ქართული ოცნების / ხალხის ძალის იმ პოლიტიკოსთა რიგებს მიეკუთვნება, სხვადასხვა პროდემოკრატიულ აქტორს რადიკალურ ფლანგს აკუთვნებს და სურეალისტური „გლობალური ომის პარტიის“ სუბიექტებად განიხილავს. წინასაარჩევნო პერიოდში გაკეთებული მისი განცხადების მიხედვით, *„არასამთავრობო ორგანიზაციები, "მეხუთე კოლონა" რადიკალური ოპოზიცია და საელჩოები პირდაპირ გადაბმული არიან - საელჩოები პირდაპირ საარჩევნო კამპანიას ატარებენ“* (IPN 2024c).

ამ კონტრასტების გათვალისწინებით, ლოგიკურია, რომ მაშინაც კი, თუ ფორმალურად მიხეილ ყაველაშვილი ინაუგურაციის შემდეგ საქართველოს პრეზიდენტად გამოცხადდება, ლეგიტიმაციის თვალსაზრისით, სალომე ზურაბიშვილს საგრძნობი უპირატესობა ექნება, ესაუბროს საზოგადოების პროდასავლურად განმსჭვალულ ნაწილს, რომელიც 28 ნოემბრის შემდეგ შთამბეჭდავი თვითორგანიზებით იბრძვის საქართველოს დემოკრატიის და ევროპული მომავლის გადასარჩენად. ამასთან, ზურაბიშვილის საერთაშორისო პარტნიორებთან კომუნიკაციის სტრატეგიამ შექმნა ძლიერი კონტრასტი ქართული ოცნების მთავრობის კომუნიკაციის კონფრონტაციულ სტრატეგიასთან. და ბოლოს, შიდაპოლიტიკურ ველზეც, მხოლოდ ზურაბიშვილს ექნება ლეგიტიმაციის  რესურსი, ესაუბროს რეალურ გადაწყვეტილების მიმღებ ფიგურას პოლიტიკური კრიზისის დაძლევის შესახებ, როგორიცაა ბიძინა ივანიშვილი (Zurabishvili 2024c), ცხადია, თუ ეს უკანასკნელი პრეზიდენტის მოწვევას მიიღებს. შესაბამისად, სალომე ზურაბიშვილი დასავლელი პოლიტიკური ელიტისთვის იქცა სანდო, საზოგადოების მხრიდან ჭარბი ნდობის მქონე დემოკრატიულ აქტორად საქართველოს პოლიტიკური სპექტრიდან. თუმცა, მნიშვნელოვანია კონკრეტულ ფორმაზე მსჯელობა, რათა ქვეყნის მეხუთე პრეზიდენტმა სახალხო ნდობა და საერთაშორისო ლეგიტიმაცია, რაც შეიძლება, ეფექტიანად გამოიყენოს.

## როგორ იმუშავებს ლეგიტიმური პრეზიდენტი 2025 წელს?

2024 წლის ბოლოსთვის, საზოგადოებრივი და პოლიტიკური კრიზისის ამ ეტაპზე, სალომე ზურაბიშვილი, სხვა ლიდერებთან შედარებით, სანდო ფიგურად მიიჩნევა და მის მიმართ კეთილგანწყობა მაღალია. თუმცა, არაერთი კითხვის ნიშანი არსებობს იმასთან დაკავშირებით, თუ რა ფორმა ექნება მის შემდგომ წინააღმდეგობას,  რამდენად მძლავრი

იქნება მისი ბრძოლა და როგორი იქნება მისი ადგილობრივი თუ საერთაშორისო ურთიერთობების ფორმები და ფორმატები. შესაძლოა, გაჩნდეს კითხვები ფინანსურ და ლოჯისტიკურ საკითხებთან დაკავშირებით, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ქართული ოცნების მმართველობა მას პრეზიდენტისთვის აქამდე განსაზღვრულ არაერთ პრივილეგიას უხსნის და, მეტიც, სამართლებრივი პროცესის წარმოებითაც ემუქრება (რადიო თავისუფლება 2024b; Kobakhidze 2024). თუმცა, სალომე ზურაბიშვილი ავლენს მზაობას მსგავსი სირთულეებისთვის (Zurabishvili 2024c) და მას შეუძლია კიდეც რეალური სტრატეგიის დაგეგმვა სამი ძირითადი მიმართულებით - სახალხო მობილიზაცია, ინტერპარტიული კონსოლიდაცია და საერთაშორისო კომუნიკაცია. ნებისმიერი სტრატეგია ამ განზომილებებით უნდა იყოს არა თვისებრივად ახალი ეტაპი მისი მოქმედებებისა, არამედ პრეზიდენტის ეგიდის ინიციატივების ერთგვარი გაგრძელება.

*<u>საპრეზიდენტო მემკვიდრეობის განგრძობითობა:</u>* 2018-2024 წლებში სალომე ზურაბიშვილს აქვს საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებთან დისკუსიის ფორმატის შეხვედრების ინტენსიური გამოცდილება, როდესაც ის ეროვნული თანხმობის იდეაზე მუშაობდა (Samkharadze 2022). ამ შეხვედრების გაგრძელება და საზოგადოებრივი დისკუსიებისთვის ერთგვარი მიმართულების მიცემა შეიძლება იყოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია, რაც ხაზს გაუსვამს კონკრეტულად სალომე ზურაბიშვილის ლეგიტიმაციის მემკვიდრეობას 2025 წელს.

ამ მიმართულებით, მნიშვნელოვანი იქნება, რომ პრეზიდენტმა შეინარჩუნოს კომუნიკაცია მოქალაქეებთან და სხვადასხვა პროფესიულ წრეებთან, რომლებთანაც პრეზიდენტის მანდატის ქვეშ ჰქონდა სხვადასხვა ფორმის ურთიერთობები; შეწყალების პროცესს მიადევნოს თვალი და მუდმივად ჰქონდეს კომენტარები და პოზიციები ამის შესახებ მაშინაც კი, როდესაც ქართული ოცნების ხელში მოქცეული სისტემა აღსრულების თვალსაზრისით ყურადღებას მიხეილ ყაველაშვილის გადაწყვეტილებების მიმართ გამოიჩენს.

*<u>ინტერპარტიული ფორმატების გაძღოლა:</u>* თუკი სალომე ზურაბიშვილი 29 დეკემბრის შემდეგ ლეგიტიმურ პრეზიდენტად პოზიციონირდება და ამას სახალხო მხარდაჭერაც ექნება, ის ფორმალურადაც და ფაქტობრივადაც უნდა დარჩეს სახელმწიფოს კონსტიტუციურ და ზეპარტიულ ლიდერად. თუმცა, ზურაბიშვილის, როგორც ხალხის მიერ პირდაპირ არჩეული პრეზიდენტის, ლეგიტიმაციის მნიშვნელოვანი საფუძველია ისიც, რომ წინასაარჩევნო პერიოდში მან აჩვენა ფრაგმენტირებული ოპოზიციის კონსოლიდაციისთვის საჭირო ავტორიტეტი. ამიტომ, საკვანძო და ფუნდამენტური იქნება, სალომე ზურაბიშვილმა გააგრძელოს პარტიებთან მუშაობა, რისთვისაც, ცხადია, თავად პოლიტიკური პარტიების

მხრიდანაც დასჭირდება ძლიერად გამოკვეთილი კეთილი ნება მიუხედავად ყველა ვიწროპარტიული უთანხმოებისა, რაც პრეზიდენტსა და კონკრეტულ პარტიას შორის შეიძლება არსებობდეს. იმ ფონზე, რომ პოლიტიკური პარტიები, ქართულ საზოგადოებაში ფართო მხარდაჭერით ვერ სარგებლობენ, რაც პოსტსაარჩევნო ფრუსტრაციამაც აჩვენა, სალომე ზურაბიშვილის, როგორც მაკონსოლიდირებელი ფიგურის მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება.

*საერთაშორისო პარტნიორებთან ადვოკატირება:* ქართული პოლიტიკური კლასის სხვადასხვა სუბიექტებს შორის სალომე ზურაბიშვილის საერთაშორისო კონტაქტების რესურსი ყველაზე სტაბილურად და სანდოდ გამოიყურება. მაშინაც კი, თუკი მას 29 დეკემბერს გასამართი საპრეზიდენტო ინაუგურაციის ფორმალობის გამო სასახლის დატოვება მოუწევს, მას აქვს რეალური შესაძლებლობა, დასავლელ პარტნიორებთან, რომლებიც მას ლეგიტიმურ და სანდო პრეზიდენტად მიიჩნევენ, პოზიტიური კომუნიკაცია შეინარჩუნოს. საერთაშორისო საზოგადოების იმ ნაწილს, რომლისთვისაც ქართული ოცნება უკიდურესად არასანდო პარტნიორია, თუმცა საქართველოსთან, როგორც სახელმწიფოსთან კომუნიკაციის შენარჩუნებას მნიშვნელოვნად მიიჩნევს, სალომე ზურაბიშვილის ფიგურა შეიძლება გამოსავალიც კი აღმოჩნდეს ასეთი ქვეყნების პოლიტიკური ლიდერული წრეებისთვის. დიდი ალბათობით, სალომე ზურაბიშვილს არ ექნება სახელმწიფოთაშორისი შეხვედრების დაგეგმვის ოფიციალური უფლებამოსილება. თუმცა, მას ოფიციალურ საპრეზიდენტო ვადაშიც ჰქონია იმის გამოცდილება, რომ მას პირადი კომუნიკაციის საფუძველზე შეუძლია საერთაშორისო შეხვედრების გამართვა და ამ გზით საერთაშორისო დონის კომუნიკაციის შენარჩუნება და საქართველოს საკითხის საჭიროებისამებრ ლობირება.

## შეჯამება: პრეზიდენტი ფორმალური ვადის გასვლის შემდეგ?

ქართული ოცნების ანტიდემოკრატიულმა და ანტიდასავლურმა ქმედებებმა, საპარლამენტო არჩევნების მიმართ საფუძვლიანმა ეჭვებმა და ნოემბერ-დეკემბერში პროტესტში მონაწილე ხალხის წინააღმდეგ განხორციელებულმა უპრეცედენტო ძალადობამ საქართველო საზოგადოებრივ და პოლიტიკურ კრიზისში შეიყვანა. მმართველი პარტია ცდილობს, მასობრივი ვნებათაღელვის და არნახული საერთაშორისო იზოლაციის უგულებელყოფის გზით, ძალაუფლება შეინარჩუნოს. ამ გზაზე ერთ-ერთი ბოლო ნაბიჯი ოცნებისთვის არის პრეზიდენტის ინსტიტუტზე კონტროლის მოპოვება, რაც, პარტიის მოლოდინით, 29 დეკემბერს ახალ პრეზიდენტად შერჩეული მიხეილ ყაველაშვილის ინაუგურაციამ უნდა

უზრუნველყოს. თუმცა, პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი, რომელიც, ბოლო წლებში, თავისი პრო-დემოკრატიული და პრო-დასავლური მოქმედებების გამო განსაკუთრებით პოზიტიურ სახალხო მხარდაჭერას და საერთაშორისო ნდობას იმსახურებს, ამბობს, რომ 29 დეკემბრის შემდეგაც სახელმწიფოს ლეგიტიმური მეთაური სწორედ ის იქნება.

რთულია სალომე ზურაბიშვილის პოსტ-საპრეზიდენტო ლიდერობის ფორმასა და პირობებზე მსჯელობა მანამ, სანამ შემდგომი მუშაობის კონკრეტულ სტრატეგიას თავად არ გააცნობს საზოგადოებას. თუმცა, შეიძლება, უკვე მეტნაკლებად დარწმუნებით ითქვას, რომ, სახალხო მხარდაჭერის და ნდობის სახით, ის პროდასავლური წინააღმდეგობის ლიდერისთვის საჭირო მნიშვნელოვანი ინსტრუმენტებითაა აღჭურვილი. 29 დეკემბრის შემდეგ სალომე ზურაბიშვილი, დიდი ალბათობით, საპრეზიდენტო ფუნქციების განხორციელებას ფორმალურად ვეღარ შეძლებს. თუმცა, მას, როგორც ხალხის მიერ არჩეულ ლეგიტიმურ პრეზიდენტს, შეუძლია იყოს პოლიტიკური მიზიდულობის ცენტრი და მნიშვნელოვანი დამაკავშირებელი ხმა ფართო საზოგადოებას, პოლიტიკურ პარტიებს და დასავლელ პარტნიორებს შორის, და 2025 წელს ამ სტატუსით განაგრძოს მუშაობა ქართველი ხალხის ფართო უმრავლესობის დაკვეთაზე - ქვეყნის დემოკრატიულ და ევროპულ რელსებზე დაბრუნებისთვის. თუმცა ამისთვის უმნიშვნელოვანესია როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ ურყევი მხარდაჭერის ხანგრძლივად შენარჩუნება.

# გამოყენებული ლიტერატურა:


Archevani. 2024. ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/6IXiR ბოლოჯერ ნანახია: 25.12.2024;

BBC. 2024. ხელმისაწვდომია: https://www.youtube.com/watch?v=Nqs2vEbejds&t=34s ბოლოჯერ ნანახია: 25.12.2024;

CRRC. N.d. ნდობა-პრეზიდენტი.ხელმისაწვდომია: https://caucasusbarometer.org/ge/cb-ge/TRUPRES/ ბოლოჯერ ნანახია: 25.12.2024;

European Council. 2024. Georgia's government's course of action. ხელმისაწვდომია: https://www.consilium.europa.eu/en/policies/georgia/#government ბოლოჯერ ნანახია: 25.12.2024;

European Parliament. 2024. Georgian president addresses European Parliament. ხელმისაწვდომია: https://www.youtube.com/watch?v=EYrGe6kNJj8 ბოლოჯერ ნანახია: 25.12.2024;

Formula. 2024. „გადასარევი არჩევანია“ — მარიამ ლაშხის რეაქცია ყაველაშვილის მომავალ პრეზიდენტობაზე. ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/watch/?v=603823628654711 ბოლოჯერ ნანახია: 25.12.2024;

IPN. 2024a. სალომე ზურაბიშვილი რუსთაველის გამზირზე საპროტესტო აქციაზე მივიდა. ხელმისაწვდომია: https://www.interpressnews.ge/ka/article/825747-salome-zurabishvili-rustavelis-gamzirze-saprotesto-akciaze-mivida/ ბოლოჯერ ნანახია: 25.12.2024;

IPN 2024b. ირაკლი კობახიძე იტალიის, ესპანეთისა და რუმინეთის შესახებ განცხადებაზე - მთავრობას ჰქონდა სანდო, საიმედო ინფორმაცია და ამ ინფორმაციის საფუძველზე გაკეთდა განცხადება. ხელმისაწვდომია: https://www.interpressnews.ge/ka/article/825273-irakli-kobaxize-italiis-espanetisa-da-ruminetis-shesaxeb-gancxadebaze-mtavrobas-hkonda-sando-saimedo-inpormacia-da-am-inpormaciis-sapuzvelze-gaketda-gancxadeba/ ბოლოჯერ ნანახია: 25.12.2024;

IPN. 2024c. მიხეილ ყაველაშვილი - არასამთავრობო ორგანიზაციები, "მეხუთე კოლონა" რადიკალური ოპოზიცია და საელჩოები პირდაპირ გადაბმული არიან - საელჩოები პირდაპირ საარჩევნო კამპანიას ატარებენ. ხელმისაწვდომია: https://www.interpressnews.ge/ka/article/815217-mixeil-qavelashvili-arasamtavrobo-organizaciebi-mexute-kolona-radikaluri-opozicia-da-saelchoebi-pirdapir-gadabmuli-arian-saelchoebi-pirdapir-saarchevno-kampanias-atareben/ ბოლოჯერ ნანახია: 25.12.2024;

OSCE/ODIHR. 2024. Parliamentary Elections, 26 October 2024. https://www.osce.org/odihr/571813ბოლოჯერ ნანახია: 25.12.2024;

Kobakhidze, Irakli. 2024. ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/KobakhidzeOfficial/videos/1119824686481068 ბოლოჯერ ნანახია: 25.12.2024;

President. Ge. N.d. უცხოური მედია. ხელმისაწვდომია: https://president.ge/index.php?m=212 ბოლოჯერ ნანახია: 25.12.2024;

Publika. 2022. ოცნებიდან წასული დეპუტატები მორიგ ანტიამერიკულ განცხადებას ავრცელებენ. ხელმისაწვდომია: https://publika.ge/ocnebidan-wasuli-deputatebi-morig-antiamerikul-ganckhadebas-avrceleben/ ბოლოჯერ ნანახია: 25.12.2024;

Parliament of Georgia. 2024. საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები 2024. ხელმისაწვდომია: https://www.youtube.com/watch?v=dVUNjY2H3hI ბოლოჯერ ნანახია: 22.12.2024;

Rustavi 2. 2024. მიხეილ ყაველაშვილის წარდგენა პრეზიდენტობის კანდიდატად-ბიძინა ივანიშვილი კურიერი 12 საათზე-2024.11.27. ხელმისაწვდომია: https://www.youtube.com/watch?v=yv74pfxUeio ბოლოჯერ ნანახია: 25.12.2024;

Samkharadze, Nino. 2022. Can the President's National Accord Process Change the Rules of the Game in Georgia's Public-political Life? ხელმისაწვდომია: https://gip.ge/publication-post/can-the-presidents-national-accord-process-change-the-rules-of-the-game-in-georgias-public-political-life/ ბოლოჯერ ნანახია: 22.12.2024;

TVP World. 2024. Salome Zourabichvili in an exclusive #interview for TVP World. ხელმისაწვდომია: https://www.youtube.com/watch?v=5ezxn0GBSa8 ბოლოჯერ ნანახია: 25.12.2024;

Wilson, Joe. 2024. ხელმისაწვდომია: https://x.com/RepJoeWilson/status/1868002140582715620

US Department of State. 2024. Sanctioning Georgian Ministry of Internal Affairs Officials Involved in Serious Human Rights Abuses against Protesters. ხელმისაწვდომია: https://www.state.gov/sanctioning-georgian-ministry-of-internal-affairs-officials-involved-in-serious-human-rights-abuses-against-protesters/ ბოლოჯერ ნანახია: 22.12.2024;

Zourabichvili, Salome. 2024. ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/salome.zourabichvili/posts/pfbid07TkFY1PJtXYXw2vQuYRXgcCcWAgEUGtkDaNM2YCa8oJJ6DbHprojuG5JkYZWfSYbl ბოლოჯერ ნანახია: 25.12.2024;

Zurabishvili, Salome. 2024b. ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/watch/?v=926674156239316ბოლოჯერ ნანახია: 20.12.2024;

Zurabisvhili, Salome. 2024a. ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/zourabichvilisalome/videos/863368572537151 ბოლოჯერ ნანახია: 25.12.2024;

Zurabishvili, Salome. 2024c. ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/zourabichvilisalome/posts/pfbid0af4swuP9VQtafXosXqoF1WdKvx5RUkTQE5SSWDLxfctz7CzjJnacEqMCeYEBUTH2l ბოლოჯერ ნანახია: 25.12.2024;

პირველი არხი 2024. ინტერვიუ სალომე ზურაბიშვილთან. ხელმისაწვდომია: https://www.youtube.com/watch?v=iNOv1s07iVc ბოლოჯერ ნანახია: 25.12.2024;

პირველი არხი. 2022. სალომე ზურაბიშვილი - ვდგავარ იქ, სადაც საქართველო უნდა იდგეს, ზელენსკის და უკრაინის გვერდში, ჩვენი ერის ღირსებაა, რომ ჩვენ ვიდგეთ იქ, სადაც იბრძვის მეგობარი ქვეყანა თავისუფლებისთვის. ხელმისაწვდომია: https://1tv.ge/news/salome-zurabishvili-me-var-iq-sadac-saqartvelo-unda-idges-zelenskis-da-ukrainis-gverdshi-chveni-eris-ghirsebaa-rom-chven-vidget-iq-sadac-ibrdzvis-megobari-qveyana-tavisuflebistvis/ ბოლოჯერ ნანახია: 25.12.2024;

კუნჭულია, ლელა. 2024. „ქართული ოცნების" პრეზიდენტი - მილოცვები პარლამენტში, ფეხბურთი და დიპლომები ქუჩაში. ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/33239788.html ბოლოჯერ ნანახია: 25.12.2024;

ვარადაშვილი, მარიამ. 2018. ბიძინა ივანიშვილის საარჩევნო ბანერები სალომე ზურაბიშვილის მხარდასაჭერად. ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/news/319591/ ბოლოჯერ ნანახია: 25.12.2024;

რადიო თავისუფლება 2024a. ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/watch/live/?ref=watch_permalink&v=1411937189465732 ბოლოჯერ ნანახია: 25.12.2024;

რადიო თავისუფლება 2024b. „ქართული ოცნების“კანონპროექტი, რომელიც სალომე ზურაბიშვილს სახელმწიფო დაცვის ყოლის უფლებას ართმევს. ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/33235218.html ბოლოჯერ ნანახია: 25.12.2024.

**საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP)** არის არაკომერციული, არაპარტიული, კვლევითი და ანალიტიკური ორგანიზაცია. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი ცდილობს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ორგანიზაციული საფუძვლების გაძლიერებას და ეფექტური მმართველობის პრინციპების განვითარებას პოლიტიკური კვლევისა და ადვოკატირების გზით.

ნაშრომში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შესაძლოა, არ ემთხვეოდეს „საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის“ შეხედულებებს.

**დოკუმენტის ციტირების წესი:**

**ნინო სამხარაძე,** „ნდობა, ლიდერობა, ლეგიტიმაცია - სალომე ზურაბიშვილის ფაქტორი საქართველოს გადამწყვეტი კრიზისის დროს,” პოლიტიკის მემორანდუმი #78, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, დეკემბერი 2024.

© საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, 2024
13 ალექსანდრე პუშკინის ქუჩა, 0107 თბილისი, საქართველო
ტელ: +995 599 99 02 12
ელ-ფოსტა: info@gip.ge

მეტი ინფორმაციისთვის, ეწვიეთ:
www.gip.ge